№ 9 — წელიწადი პირველი — ფასი 2 კაპ.

საზალხო გაზეთი

რედაქციისაგან

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყვეს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

გაზეთის ფასი:

ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.
წლის დამლევამდე 75 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართათვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა ჰუ. ტენბერგისა, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩების კუთხე.

ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი — 1909 წ. — ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს, 1909 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
პირველად ახალი პიესა ჭეერმანისასა.

იმედის დალუპვა

დრამა 4 მოქმედებად თარგ. დ. მესხისა.

მოსწავლეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. — რეჟ. თან.ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

გაიხსნა ტფილისის კერძო ახალი

სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

გალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშ. ყ., ღღეს; კვ. გარდა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ქარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$ $3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაც. ყოველ-დღე 12 | 1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ. ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—11 საათ.

სოგოლევსკი ბ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ვ. დედაკ. საბებიო, ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. ბ. მიკრ. ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა, (50—8)

ვოგზლის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსაარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა,
ტელეფ. 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. ბომართელი—ყოველ დღე, შინაგ. ბავშ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$11^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., შაბ., 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ბ. ფეოდოროვი—ყოველ დღ ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავათმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკლეევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(50—8)

გიშერო გაგალოვისა.

მთავრობის ნებართვით, დვორცოვის ქუჩაზედ, სარაჯიშვილის სახლში № 6 (ეზო 8) გახსნილია **გიშერო საწერავ მაშინისა.** ყველა ენაზედ. ფასები ძლიერ ხელმისაწდომია. საქმის სწრაფად შესრულებაზედ, სისუფთავეზედ და გრამატიკულ მართლწერაზე მიქცეულია განსაკუთრებული ყურადღება.

იქვე იწერება ყველანაირი თხოვნები, საქმის ქაღალდები. პირობის წერილები, საპეკუნო ანგარიშები, კასაციისა და აპელიაციის საჩივრები, თხოვნები **უმაღლესს სახელოგაზედ** მისართმევად, გამოწერვ-გამოტანა გირავნობის მოწმობისა ყველა ბანკებისათვის უძრავ მამულისა.

გიშერო ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ვიდრე 2 საათამდე, ნაშუადღევის 3—7 საათამდე. (10—2)

ე ქ ი მ მ ა

ჰ. არდაზიანმა

განსაცხლ ავადმყოფების მიღებს.

ბავშვების და შინაგან ავადმყოფ. ადრესი: კუთხე მელიქოვის და ალექსანდროვის ქუჩა ინტენდანსტვოს პირდაპირ. 9-ე საპ. ღბანში.

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 ს.

7

ოჯახი შეირყა.

(წერილი მესამე).

ქალიშვილები ხელოვნებასაც სწავლობენ: ხატვას, ჭრა-კერვას, ქსოვასა, ოქრომკედით, აბრეშუმის და ფერადი ძაფით ქარგაზე კერვას, ხალიჩების ქსოვას. ერთი სიტყვით ქალები, ცოდნისა-და გვარად, ყველაფერს ამზადებდნენ, რაც ოჯახის საჭიროება მოითხოვდა.

იმათი ძველი ნაწარმოები თვალსაჩინოა. ხელთ ნაკეთები, შეკრეფილია მუზეუმში, ყველა მნახველს ხელოვნება მათი აკვირვებს. ქალები, რიგ-რიგობით ოჯახს საღილს უმზადებდნენ სხვა-და-სხვა ნაირ საჭმელებს სამზარეულოში აკეთებდნენ. ოჯახობისთვის და სტუმრების დასახვედრად სხვა-და-სხვა ნაირს მურაბებს, წნილებს ამზადებდნენ: ხილეულობიდამ კერკს, ჩირებს ახმობდნენ, ყურძნის ტკბილიდამ ბადაგს აკეთებდნენ, კოწახურიდამ-კი ზაშარიბს. კვირა-უქმე დღეს ოჯახის წევრნი წირვის და ლოცვის მოსასმენელათ ეკლესიაში მიდიოდნენ. ჯანმრთელობისათვინ სეირნობდნენ და გასართობად ნათესავებს ანუ ნაცნობებს ეწვეოდნენ. ვისაც ნიჭი ჰქონდა სიმღერისა, ანუ საკრავისა, იმას სოხოვდნენ ემღერა ან საკრავზე დეკრა. ვინც შვილთაგან ცუდათ მოიქცეოდა, ურჩობას გამოიჩენდა, იმას დედ-მამა ჯერ დარიგებას აძლევდა, აფრთხილებდა, მერე-კი გაუგებარს სტუქსავდა.

ახალი ოჯახობა-კი შეირყა. ცოლ-ქმრის უთანხმოებით შვილები უწესრიგობას ეჩვევიან, რიგიანად ველარ იწურთვნებიან, ვერ მზადდებიან ცხოვრებისათვინ. დიდ-პატარაობა, უფროს-უნცროსობა, ცოლ-ქმრობა აღარა სწამთ. დედ-მამანი და ახალი თაობის შვილები, კერძო შეხედულობით, ოჯახის, საზოგადოების მიმართულებაზე და წეს-რიგის მოწყობაზე ერთმანეთს არ ეთანხმებიან. ცოტა არ იყოს მათში მამულის სიყვარულიც და ქართული ენის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა შემცირდა: ზოგს კიდეც ეჩოთირება ქართველად თავი ისახელოს. შვილები ოჯახს გაურბიან და მით წყდება მათ შორის ზნეობითი კავშირი, მკვიდრ ცოდნას ჩამორჩენენ. ამ გარემოებით ხანდისხან შვილები ოჯახს მძიმე ტვირთად უხდება. ოჯახში დიდი არეულობა ხდება ხოლმე, როდესაც რძალ-დედამთილი ვერ ითვისებენ, ვერ მოდიან ერთმანეთში. თუ დიასახლისი თავის სიამოვნებას, კეკლუცობას მიზდევს, შვილებს ყურს აღარ უგდებს და თავის თავს სილამაზით მზე უნახავად სთვლის, მაშინ იმისი ჭკუა-გონება ოცნებაშია გართული და ჰაერში დაფრინავს, რის გამოც ოჯახში უსიამოვნებას და შვილებისთვის ჯოჯოხეთს ბადავს. ქმარი ცოლ-შვილს შორდება, ცოლი—ქმარ-შვილებს თავს ანებებს და გადადის სხვასთან საცხოვრებლად. ყველა ამ და სხვა მიზეზებისა გამო ოჯახი ირღვევა; ოჯახს სახელი უტყდება და იღუპება. სახელ-გატეხილ ოჯახიდამ ქალები მალე ვერა თხოვდებიან და თუ გათხოვდებიან ხოლმე, მოკლე ხანში ცოლ-ქმარი ერთმანეთს თავს ანებებენ. ასეთი მაგალითებით მამა-კაცი შეშინებულია, ცოლის შერთვას ერიდება, ქალები ველარ თხოვდებიან და უსაქმოებით შინ ჯდომას სწავლობენ, ან თვალები დღითიდღე ბულვარისკენ უჭირავთ.

ი. წინამძღვრიშვილი.

საგლეხო ბანკი

II.

მამულის საკუთრად შესაძენი ფული გლეხ-კაცს შეუძლიან გამოიტანოს საგლეხო ბანკიდან.

საგლეხო ბანკი რუსეთში დიდი-ხანია არსებობს, ჩვენში შემოიღეს ამ სამის წლის წინად გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წყალობით.

საგლეხო ბანკს აქვს დამტკიცებული წესდება და ვისაც უნდა ამ ბანკიდან სესხი გამოიტანოს, კარგად უნდა შეისწავლოს ეს წესდება.

მოკლედ რომ მოვჭრათ სიტყვა, აი რა წესით მოქმედობს საგლეხო ბანკი.

სესხი სხვა-და-სხვა ვადისაა. თუ გლეხი ისესხებს ფულს ბანკიდან 55 წლით და 6 თვით, მაშინ ყოველ ათ თუმანზე უნდა იხადოს წელიწადში 4 მ. 50 კ. ეს გადასახადი ორპირად უნდა მიეცეს ბანკს. ნახევარი პირველ აპრილს, ნახევარი კიდევ ორ ღვინობისთვეს. ოთხი მ. და ათი შაური სარგებელიცაა და თავნსაცა სწყვეტავს, ასე რომ $55^1/_2$ წლის განმავლობაში სესხად აღებული ათი თუმანი სავსებით დაილევა.

41 წლის ვადით თუ ვისესხებთ ფულს, მაშინ ყოველ ათ თუმან ვალზე უნდა ვაძლიოთ წელიწადში 4 მ. და 95 კაპ. 28 წლით თუ ვივალებთ, მაშინ ათ თუმანზე მოდის 5 მ. 80 კაპ.; 18 წლით 7 მ. და 50 კაპ., ხოლო 13 წლით 9 მ. და 25 კაპ.

უმჯობესია სესხის აღება გრძელის ვადით, რადგან სარგებელი და თავნის მოსაწყვეტი ცოტაა და კაცს არ გაუჭირდება მისი შეტანა. უკეთუ ოჯახში მოჭარბებული ფული აღმოჩნდება, მაშინ მოვალეს შეუძლიან ნაწილი თავნისა მოსწყვიტოს და სარგებელს გადიხდის მარტო იმ ფულისას, რაც ვალად დარჩება და არა პირველად აღებულის სესხისას. ვსთქვათ, ვინმემ ივალა ასი თუმანი. ამის სარგებელი და თავნის მოწყვეტა ოთხი თუმანი და ხუთი მანეთია. თუ ერთის წლის შემდეგ ოც თუმანს თავნს მოვწყვეტავთ, მაშინ ოთხ თუმან, ნახევარს-კი აღარ მივცემთ ბანკს, არამედ ნაკლებს, სულ სამ თუმანს და ოთხ მანათს, ე'ე იგი 80 თუმნის სარგებელს.

სარგებლის შეტანა დანიშნულ ვადაზე აუცილებელია, თორემ ჯარიმას გადაახდევინებს ბანკი უპირულ მოვალეს. მანათზე თვეში თითო კაპეიკია ჯარიმა. ვსთქვათ პირველ აპრილს შესატანი გვქონდა 120 მანეთი. ორ აპრილს რომ მივიტანო ეს ფული, ბანკი მოგვკითხამს ჯარიმას ერთი თვისას 120 კაპეიკს, ან ერთ მანეთს და ერთ აბაზს. ერთი თვეც რომ დავიგვიანოთ, ესე იგი ორ მაისს რომ ჩაიბაროთ, ორის თვის ჯარიმას წაგვართმევენ, ესე იგი ორ მანათს და ორ აბაზს. ტყუილად რომ არ გადავყაროთ ჯარიმის ფული, საჭიროა, რომ მოვალემ პირიანად აასრულოს ხოლმე თვისი მოვალეობა და მუდამ იმის ცდაში იყვეს, რომ ვადა არ გაიყვანოს. მუქთად, ტყუილ უბრალოდ და უსარგებლოდ ერთი გროშიც არ უნდა დავხარჯოთ.

ჯარიმა ხომ ჯარიმაა, მაგრამ ბანკმა სხვა სასტიკი ღონეც იცის. უკეთუ მოვალე არ შეიტანს ჯეროვან სარგებელს ორის ნახევარ წლის განმავლობაში, მაშინ საგლეხო ბანკი დანიშნავს ხოლმე საჯარო ვაჭრობას დავალიანებულ მოვალისას და იმას მიჰყიდის მამულს, ვინც ვალს გადაიწერავს და შეავსებს ყველა ნედაიმკლებს. წინანდელი პატრონი მამულისა არამც თუ ხელცარიელი დარჩება, დაეკარგება სამუდამოდ ისიც, რაც წინად უძლევია ბანკისათვის, მაგალითად სარგებელი, ბე, ნასყიდობის (კუპჩა) ხარჯი და სხვა. ამისათვის დიდი სიფრთხილეა საჭირო, როცა ბანკებთან ვიჭერთ საქმეს.

როგორც ყოველი ბანკი, აგრედვე საგლეხო, ორპირი ხმალია. კარგია საგლეხო ბანკი იმით, რომ იაფად გვაძლევს ფულს. აბა სად იშოვნის კაცი ასე იაფად ფულს, როგორც საგლეხო ბანკი გვაძლევს. ათ თუმანზე წელიწადში სარგებელს ვაძლევთ, თუ $55^1/_2$ წლის ვადით ვიღებთ ვალს, სამ მანათსა და 75 კაპეიკს, ხოლო 40 კაპ. მარცვა-გამგეობის ხარჯების დასაფარად, 35 კაპეიკი თავნს სწყვეტავს. სულ გამოდის 4 მ. და 50 კ. რაც უნდა პირიანად იშოვნო ფული სოფლად, თუმანზე მაინც ერთი აბაზი უნდა აძლიო სარგებელი. ასეთი სარგებელი ათ თუმანზე წელიწადში დაიჭერს 24 მანათს და თავნსაც კაპეიკი არ მოაკლდება.

სიტკბოს სიმწარეც ახლავს. სიმწარე იმაში გამოიხატება, რომ ბანკმა დაცდა და მოთმენა არ იცის: თუ დროზე არ მოიტან სარგებელს, ჯარიმას გადაგახდევინებს და თუ კიდევ დაიგვიანებ, მამულს გაგიყიდის.

ალექსანდრე ყიფშიძე.

დონ-გაზილიო.

პატარა ტანად, გამხვრეწვალი
ქუდათ თავს ჩაჩი ხურია;
თხელი ტყავ-ძვალი, ულონო
გულ-ფლიდი, სრულად შურია.
დაუსვენარი არ სვენობს,
მწვან-ყვითლობს, ღრენით „მურია“
ამხანაგს ისე აწვალებს,
როგორც ქრისტიანს ურია.

—

ერთხელა ვხედავ—კაცსა ჰგავს,
ხედავ მეორედ—ფურია!...

ხატის გრალია?

(დასასრული *)

III.

კარგა ხანია ამჩნევდნენ შაქროს, სახლში ცვლილებას. ორი კვირა სრულდებოდა, სულ აღარ ეკარებოდა ოჯახს, ორ-ორი დღის შემდეგ ბრუნდებოდა გალეშილ გაოხრებული. ცამეტ თუმანს ნელ-ნელა აკლდებოდა, და ბოლოს ხომ, ცოლის ნივთებიც ზედ შიაყოლა, არც ცოლმა იცოდა რა და არც მშობლებმა. ეს მას შემდეგ მოხდა და დაიწყო ლოთობა, რაც ერთ ქალაქის მივარდნილ დუქანში, ღონივრათ სცემეს შაქროს ორმა მისმა ნაცნობმა. ერთმა დამტვრეული დროგის პატრონმა და მეორეც მისმა ამქარმა.

— კაცო, ეს რა ოხერს გადავეკიდე, ასეთ უსინიდისოს. შე ოჯახ ამოსაგდებო რვა ათასი მანეთი ღირდა შენი ბუზიანი ბეხრაკი ცხენი და დანგრეული დროგი?.. იძახდა გააფთრებული შაქრო და გაცხარებით არტყამდა მაგიდაზე მუშტს.

— ოჯახიც გაგიოხრდეს და ცხოვრებაც. ვა, გიჟია ოხერი, არა მითხარი რომელ ლატარიოსთან დაგიმტკიცე ნახევარს გაგიყოფთქო. ვა, შენ სულელი იყო, რა ჩემი საქმეა... გაგონილა, კაცი ძალათ ახდენდეს საქმეს. მითხარი დამეჯახეო დაგეჯახე, უჩივლეო უჩივლე, ფულები ავიღე და შენ მოგცე? ვა, სამსახური დავკარგეო. ესეც მე ვინაღვლო? მოდი, შენი ჭირიმე შაქროჯან, რალა, გული არ წაგიხდეს ფულები მიირთვი. ვა, ვა, ვა, თქვენ-კი მენაცვალეთ თქვენის სოციალისტის თავით... ჭკუა გიჭირებს რალა. ჰაი გიდი, ზაქრუა დაიმტვერი, ცხენკაციანათ, მერე ფულები აიღე, შაქრუას გაუყავი. ბუზიანი ცხენიო, მამა გიცხონდა ბუზიანი, ბუზიანი იქნებ შენი ცოლი იყოს მამა ოხე...

აღარ დაეთავებინა სიტყვა მედროგეს... შაქრომ ველარ მოითმინა, თოფის წამალივით იფეთქა, სკამიდან წამოიჭრა და ხელდახელ ეცა მუცლიან მედროგეს.

ხუთმეტი წამის შემდეგ, სახე დასიებული, ნაცემი შაქრო ჰირქვეგდო იატაკზე. იქ-კი აღარავინ იყო მედუქნის მეტი... ამის შედეგი იყო შემდეგი ლოთობა.

VI

— გააღე, შვილო, თვალი წმიდა საიდუმლო მიიღე, იქნება ღვთით უკეთ გახდე.—ეუბნებოდა სასიკვდილოდ გადადებულ შაქროს, ოლარ გადაკიდებული მღვდელი და პატარა კოვზით აწოდებდა საიდუმლოს.

— მამაო! დილიდამ ვეუბნები და ვერ შევასმინე ამათ, ექიმს აჩვენონ.—სთქვა ახალ შემუსულმა მეზობლის ქალმა. თქვენ მაინც ურჩიეთ, იქნებ თქვენი გაიგონოს. ღმერთს გეფიცებით, მე დაუძახებდი ექიმს, მაგრამ ჩვილი ბავშვი მყავს, და სად წავიდე.—დაუმატა.

— მღვდელმა ზიარება მიაღებინა, რომელიც ხრიალით გადმოუვიდა პირიდან.

— შვილო, თავი დამანებეთ, განა არ ვიცი მე ჩვენი ხატის ამბავი?—შეუტია დედამ.

— არა მაინც, ექიმის მოყვანა საჭიროა.—სთქვა მღვდელმა და ოლარი მოიხსნა.

— მოიყვანეთ, უსათუოდ მოიყვანეთ. სირცხვილ-ცარის ეხლანდელ დროში უექიმოთ მოკვდეს კაცი, ისიც ქალაქ ადგილს.

— მამაო! ვითომ ხატს ვაბრალებთ—უთხრა მოხუცმა მამამ.

— რას ამბობ კაცო, ხატის იყოს გინდ ჯვარის. ექიმი მაინც საჭიროა. თუ არ უშველის, ხომ არ ავნებს.

— თქვენ გიშველოთ ღმერთმა, თორემ ლამის საცოდაობით დავიწვეთ სთქვა ახალგაზრდა ქალმა და გავიდა.

ნახევარ საათის შემდეგ ახალი ეტ-

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 8.

მისი წადილის სადგური
უძირო რამე ჭურია.
ამბობს: „კეთილი ცხოვრება
მუცლისთვის საამურია,
კარგი სადილი კუჭისთვის
ტკბილი რამ სალამურია!“

—

ცოლით სარგებლობს, როცა მას
ჯახური ღვინო სწყურია.
ოდნავ არა სწუხს, თუ საქმით
მას პირი გაუმურია.
სინდისის გასახსენებლად
გულსა დაუხშო ყურია.
თუ ეტყვი რასმე, გპასუხობს:
„შენგან ეგ მხოლოდ შურია!“

—

ნურვინ ნუ გაიჭიფხებით,
ჩემთან ვერ მოხვალთ ტოლადა,
ნამცქრია გოგო მე დამრჩა,
დღეს მე მყავს იგი ცოლადა,
ცოლი ძროხაა... და ძროხა—
რად მინდა თუ არ მწველადა?
ის ფულებს ჩემთვის შოულობს,
არ მოქცემთ ჩასაქოლადა!

—

ამაოდ იბრძვით, ვერ გახდეთ
ჩემი ცოლისთვის შოლადა,
ათამდის კაცი მისთვის მყავს
მისაყოლ-მოსაყოლადა,
მათ ქომაგობამ, უღონო,
დღეს ისე გამოფოლადა,
რო გულით გაჯავრებული
საპიროზს ვაქცევ ბოლადა!

—

როცა ის შემიფუცხუნებს,
მე გადვიქცევი მელადა,
მოულუკლუკებ, შევაქცევ,
მოუქნევ ენას სველადა,
მის ფეხქვეშ ვბობღავ, დავცოცავ,
ქვე მძრომად, სწორედ გველადა,
თუ ვერ დავცინცლე ფულები?
ვიცეცხლებ გულის მწველადა!

—

ლი იდგა შაქროს კარებთან. ახალ-
ვაზრდა სათვალებიანი ექიმი გულ-
მოდგინეთ სინჯავდა ავათმყოფს.
მორჩა გასინჯვას და მიუბრუნდა
თვალცრემლიან ცოლს ექიმი.

— მსმელი კაცი იყო? — ჰკითხა.

— ორი კვირაა ბატონო რაც და-
ეწყო.

— წინეთ არ სვამდა.

— არა ბატონო.

— ჰმ... ამ ორ კვირაში გამუდმე-
ბით სვამდა?

— ერთი დღე არ ყოფილა ფხი-
ელი...

— ჰმმ... ეს მითხარით... დარდი
რამე შეხვდა ამ ხანებში?..

— არ ვიცი ბატონო... სამსახუ-
რიდან დაითხოვეს და...

— ჰოო... სად მსახურობდა.

— ვათმანათ გახლდათ, შენ გე-
ფიცვალე, კონკაზე... დაასწრო დე-
ბამთილმა რძალს. ექიმს გაეღიმა.

— მაშ თქვენ ამბობთ ორი კვი-
ნა რაც სვამდა?

მყის გადვიქცევი „ოტელოდ“,
ვფიცავ: გაუხდე მცველადა!
ვაშინებ: ყველგან მოგყვები
მთად, ბარად, მინდვრად, ველადა!
თავს ვიხრჩობ, სახეს ვიკაწრავ,
ვესაუბრები ცხელადა,
ფკოცნი და ვტყლოშნი იმავ დროს
და ფულს დავტყუებ ხელადა.

—

ედემობს ჩვენი ცხოვრება,
მიქანავს ტკბილი ნელადა,
მჭყივანს ვინც მნახავს, სულელობს
რო მორბის გასაშველადა;
ის ჰფიქრობს სრულად გავგიჟდი,
რო გავარდები ველადა;
და შევიქნები უთუოდ
ჩემს დამრჩენ ცოლის მკვლელადა!

—

ნურვინ ნუ გაიჭიფხება,
ჩემთან ვერ მოკა ტოლადა,
ნამცქრია გოგო მე დამრჩა,
დღეს მე მყავს იგი ცოლადა.
ცოლი ძროხაა, მეცა მყავს
ის მუდამ მოსაწველადა,
ფულებსაც ჩემთვის შოულობს,
არ მოგცემთ ჩასაქოლადა.

ა. ყაზბეგი.

კაცთმოყვარე მილიონერი.

ვის არ გაუგია იტალიაში სახელი
განსვენებულ ვაჭარ ლორიასი, იტა-
ლიელ ურიისა, რომელმაც მთელი
თავისი ქონება ხალხის კეთილ დღე-
ობას, საქველ-მოქმედო დაწესებუ-
ლებას შესწირა. არ გეგონოთ, მკი-
თხველო, რომ მან გაჭირვებულთ
მოწყალება დაურიგა,—არა, ოთხი
მილიონი მანეთი მოახმარა ისეთ და-
წესებულებათა დაარსებას ქალაქ
მილანში რომელნიცს უმუშევართა
საქმეს აღმოუჩენდნენ, მისცემდნენ
მათ მუდმივ წყაროს ცხოვრებისას.

უმუშევართა მდგომარეობის შესა-

კიდევ ცოლს მიუბრუნდა ექიმი.

— დიაღ ბატონო...

ექიმმა კიდევ გასინჯა და ბოლოს
თავი გადაქნია.

— რას იტყვით? — დაასწრო
მღვდელმა.

— სმისგან კუჭი აქვს დამწვარი,
უთუოდ არაყს სსვამდა და ისიც
უჩვეკი. ამასთან კიდევ „ნერვნიე
პრიპადკი“ რადგან ძარღვები ძლიერ
აქვს დაშლილი მღელვარებით. ტვი-
ნის ჯჯრედებიც შერყეული აქვს.

— არა ეშველება? — ჰკითხა მღვდელ-
მა.

— არ ვიცი? ჩქარა ანთებაც გაუ-
ჩნდება. მაინც წავიყვანოთ საავათ-
მყოფოში და, თუ რამე ეშველება
იქ...—სთქვა ექიმმა და ქუდს მოკი-
და ხელი. ათის წუთის შემდეგ ნა-
ძალადევ ჯასცდა ეტლი რომელშიაც
იჯდა ექიმი, ორი ვიღაცა და მამა-
კვდავი შაქრო მიჰყავდათ საბანში
გახვეული.

მ. გარიყული.

სწავლად გახსნა კანტორა, რომელიც
იძიებს, რამდენი და რა ჯურის უმუ-
შევარნი არიან ამა თუ იმ ქალაქში.

სასარგებლო ცნობების მისაწვდე-
ნად მეორე კანტორა იძიებს, რა
პირობებში იმყოფებიან მშრომელნი
სამშობლოში და საზღვარ გარეთ.

სამუშაოს საშოვნელად ორი სხვა
კანტორა შუამდგომლობას უწევს
უმუშევართა და საქმის მიმცემთა
შორის.

სასოფლო მეურნეობის მუშათა დასა-
ხმარებლად ცალკე კანტორა ცნო-
ბებს აგროვებს, სად და რამდენი მუ-
შა ხელია საჭირო.

ამის გარდა მან დაარსა სკოლა
რამდენიმე განყოფილებით, სადაც
მუშები სწავლობენ ხაზვა-ხატვას,
სტამბის საქმეს, ჭრა-კერვას და სხ.
მეწაღეებისათვის გახსნა სახელოსნო
მანქანებით, სასადილოთი და სამკი-
თხველოთი. ამხანაგობათა დასაარსე-
ბლად, რომელთაც კოოპერაცია
ეწოდება, კოოპერაციული ბანკი გა-
ხსნა.

უმუშევართა დასახმარებლად ცა-
ლკე კასა მიუჩინა, თანაც სამუშაო
სახლი ააშენა მილანში და კარგი
მოზრდილი მიწა იყიდა მილანის ახ-
ლო

იმავე მიზნით 1000 სადგომი ააშე-
ნა და დაკლებული ფასით მიაქირავა
მშრომელს ხალხს, მოაწყო შიგ აბა-
ნო, სასარეცხო, წიგნთ-საცავით,
ლექციების დარბაზი, სასეირნო ბაღი

ყველა ეს დაწესებულება გადასცა
ცალკე საზოგადოებას, რომელსაც
„ჰუმანიტარია“ ანუ კაცთ-მოყვარე
საზოგადოება ეწოდება. „ჰუმანიტა-
რია“, გარდა უმუშევართა დახმარე-
ბისა, არა რაიმე პოლიტიკურ მიზანს
არ ემსახურება, ამიტომ ამ დაწესე-
ბულებაში ყველა პარტიის წევრნი
უსასყიდლოდ სიამოვნებით მუშაო-
ბენ და ამით ხელს უწყობენ მის მო-
ქმედების გაფართოებას.

კორესპონდენცია

—

ს. დგვრისი (გორის მაზრა). სწო-
რედ რომ უბედურ საათზეა დაბა-
დებული ჩვენი გლეხი. მთელ თავის
სიცოცხლეში მას ერთი ტკბილი
დღე არ უნახავს, როდესაც შესძლე-
ბოდა ეთქვა—მეც ადამიანი ვარო..
იგი შრომობს, შრომობს უზომოდ,
შრომობს დღე და ღამ, ზამთარ-ზა-
ფხულ, გამუდმებით ჩაჰკარკიტებს
მიწას, თვის მარჩენალს, უნაყოფოს
ნაყოფს აღებინებს, უწყლოს წყალს
უჩენს, თვის დაკოჟიებულ ხელე-
ბით იღებს იქიდგან ლუკმა პურს და
აწვდის თვის კისერზე მჯდომ სისხ-
ლის მწოველებს, მუქთა ხორებს,
თვითონ-კი კუჭი მუდამ ცარიელი
აქვს, ბაღნები მუდამ შიშველ-ტიტ-
ველი ჰყავს. უმეცრება, ცრუ-მორ-
წმუნოება, მამა-პაპური მავნე ადათ-
წესები მთლათ მიწასთან ასწორებენ
მას. გულშემატკივარი-კი არავინა
სჩანს, რომ იგი სწორე გზაზე დაა-
ყენოს, თვის ღირსება შეაგნებინოს.

ს. დგვრისში ჩემი ყურადღება მი-
იპყრო ერთმა ჩვენი გლეხის ცხოვ-
რებაში არა ჩვეულებრივმა მოვლე-
ნამ: სამშაბათობით და პარასკეობით
გლეხები არ მუშაობდნენ. ვკითხე
მიზეზი. მიზეზი შემდეგი აღმოჩნდა:
ერთ ბერიკაცს დაერწმუნებინა იგი-
ნი—მე სიზმარში წმ. გიორგი გამო-
მეცხადა და მითხრა—მე ღმერთმა
დამბარა თქვენთან—არ იმუშავოთ
სამშაბათობით და პარასკეობით, და
მით მოინანიეთ ამ სამ ოთხ წლებში
ჩადენილი ცოდვები, თორემ უარეს
დღეს დაგაყენებთო. დაფაცურდნენ
გლეხები. არიქა, ღმერთი გვირიგ-
დებაო და რაკი საშინელი გვალვა
იყო, გამოიტანეს ხატები, დროშე-
ბი ეკლესიიდგან, გაიყოლიეს წინ
მღვდელი და მთელი მინდვრები შე-
მოიარეს. ალაგ-ალაგ პარაკლისებს
იხდიდნენ და ღმერთს წვიმას სთხო-
ვდნენ—ამით დაგვიმტკიცებ, რომ
არ გვღუპავო. წვიმა მართლა მოვი-
და. გლეხის სიხარულს საზღვარი
არა ჰქონდა. დაადგინეს ჯერ-ჯერობ-
ით იუქმონ სამშაბათი და პარასკე-
ვი. უქმობენ კიდეც. საჭიროა ცხინ-
ვალელ ინტელლიგენტებმა, თუ მათ
შორის მოიპოვებიან გულ-შემატკი-
ვარნი, მიაქციონ ამას დიდი ყურა-
დღება, ჩააგონონ რომ ხსნა სილატა-
კე—უმეცრებისაგან სულ სხვა გზით
უნდა ეძიონ. თორემ მერმის კიდევ
ვინმე ურჩევს—არ იმუშაონ ორშა-
ბათს და შაბათს, იქით მერმის—ოთხ-
შაბათს და ხუთშაბათს და ნეტავი-
ლა ჩვენ გლეხს. უიმისოდაც რა არის
მისი შრომის ნაყოფი და, რომ არ
იმუშავებს, მაშინ რაღა იქნება. წელს
ყველაფრის მოსავალი წახდა, გვალ-
ვის გამო ჭირხახულმა ტანი ვერ შე-
ჰყარა. მომეტებულმა ნაწილმა ხე-
ლით მოგლიჯა იგი. გული მოგი-
კვდებოდა, მკითხველო, რომ დაგე-
ნახა, როგორ გლეჯდნენ ქერს 3—
4 წლის ბავშვებიც-კი, ხშირათ ხე-
ლებიდგან ხისხლი სდიოდათ, მაგრამ
რა ექნათ: მათი საზრდო ეს იყო
და რომ არ მოეგლიჯათ არ იქნე-
ბოდა.

ოჰ, უბედურო გლეხ-კაცო, რო-
დის მოელება ბოლო შენს ტანჯვას,
შენს უმეცრებას, შენს დუხჭირ
ცხოვრებას...

ს. გძელიშვილი.

საყურადღებო დეპეშების შინაარსი.

გაზეთებიდან.

თავრიზი. სათარ-ხანს თავრიზში
ჩამოსვლისთანავე ცხარე ლაპარაკი
მოუვიდა გენერალ-გუბერნატორ-
თან. სათარ-ხანი გენერალ-გუბერ-

ნატორს ჰკიცხავდა, არდებილში განგებ დამიგვ მახეო და დაემუქრა გადაგაყენებო. ქალაქში აშკარად ლაპარაკობენ, სათარ-ხანი ადრებილში ყოფნის დროს ხალხსა სცარცვამდაო.

შაჰსევანები სერაბს მიუახლოვდნენ.

ასტარა. არდებილში შაჰსევანები და ყარადაღელები ცარცვა-გლეჯას განაგძობენ. გაცარცვეს ზოგიერთ რუს ქვეშერდომების სახლები. რუს მოვაჭრეების მამასახლისის სადგომს რუს ქვეშევრდომების გარდა 2,000 მოქალაქემ შეაფარა თავი. მომთაბარე თემების მეთაურებმა ყორანზე დაიფიცეს, ერთად ვიმოქმედებთ და რახიმ-ხანს არ ვუღალატებთო. შაჰსევანები და ყარადაღელები ქალაქს ამაგრებენ იმ შემთხვევისთვის, თუ სპარსეთის მთავრობის ჯარი ჩამოვიდა. რუსეთის საკონსულოს ყაზახები იცავენ. შაჰსევანებს და ყარადაღელებს ჯერჯერობით საკონსულოსთვის ხელი არ უხლიათ.

პეტერბურგი. ორი დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 14, გადაიცვალა 8, ავად არის 184 კაცი.

პეტერბურგი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა: არხანგელის გუბერნიაში 5, ბალახნაში 5, გროდნის მაზრაში 3, ეკატერინოსლავის გუბერნიაში 15, კოსტრამაში 11, ნოვოგოროდის გუბერნიაში 4, კრემენჩუგში 1, ჩერნიეჩში ,6 პერმის გუბერნიაში 2, პონევეჟში 2, ნიკოლაევის მაზრაში 1, ასტრახანში 11 კაცი. გარდაიცვალა: არხანგელის გუბერნიაში 1, ბალახნაში 5, გროდნოს მაზრაში 2, ეკატირინოსლავის გუბერნიაში 8, ჩერნიაეჩში 2, პონევეჟში 2, ასტრახანში 6 კაცი.

ნიჟნი ნოვოგოროდი. კოვარირში დაიწვა ორი სახლი. მეორე დღეს სახლების ნანგრევში იპოვეს ორი ქალი და ექვსი ბავშვის გვამი. ამას გარდა დაშავდა სამი კაცი.

მოსკოვი. დიდის ამბით გაიხსნა საზოგადოება „რუსეთის ერების ერთობა". საზოგადოების წევრებ დ ყველა ერის წარმომადგენლები აირჩიეს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

✦ მომავალ კვირას არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წაიკითხავენ ლექციებს ერობაზე ბატ. ხატი. სოვი, გოგიჩაიშვილი და მილიუტინი. უკანასკნელი მომხსენებელი, სხვათა შორის, შეეხება წლევანდელ ოქტომბრისტთა მოსკოვის კრებას და ამ კრებაზე მიღებულ დადგენილებათა განმარტებას. ლექციები საინტერესო უნდა იყვეს და, იმედია, ბევრ საზოგადოებასაც მიიზიდავს, რადგან საქველ-მოქმედო მიზნით იმართება.

✦ 27 ოქტომბერს ტფილისის საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე „რუსკი ს.-კავკაზას" რედაქტორისა, რომელსაც ავლაბრის პროგიმნაზიის ინსპექტორი იაკობ ღულაძე ამტყუნებდა ცილის წამებაში. სასამართლომ რედაქტორ პისემსკის ერთის თვით ციხე გადუწყვიტა.

✦ 27 ოქტომბერს წ.-კ. საზოგადოების მიერ გამართულმა ილიას საღამომ დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა ქართულ თეატრში. პირველ განყოფილებაში გრ. რობაქიძემ მეტად საინტერესო ლექცია წაიკითხა „განდეგილზე", მეორე განყოფილებაში მშვენიერის სიმღერით დაატკბეს საზოგადოება ვანო სარაჯიშვილმა, ნ. გაბუნია-ცაგარლისამ და ს. ბარათაშვილმა. მესამე განყოფილებაში რამდენიმე ცოცხალი სურათი დადგმულიქმნა ილია ჭავჭავაძის სხვა და სხვა თხუზულებიდან.

✦ „ტიფ. ლის."-ში დაბეჭდილია სია იმ მამულებისა, რომელიც სომეხთა ეჩმიაძინის მონასტერს ეკუთვნის. როგორც ამ ხიიდანა სჩანს, ეჩმიაძინის სხვა-და-სხვა ადგილას ჰქონია 129,050 დესეტინა მიწა.

✦ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: ბ-ნ ივ. ალ. ზედგინიძისაგან: ექვსი სპილენძის ფული (ამათ შორის სამი ქართული) და ორი თიხის მორჩილი დოქი: ბ-ნ ზ. აბდუშელიშვილისაგან: ხელნაწერი „ყარამანიანი", ხელნაწერი „ბარამიანი" და მასთან „კორნილიუს" ტაციტის წელთწერა" და ერთი კიდევ სასანიური ვერცხლის ფული. პოლკოვნიკ დ. ივ. ამილახვარის და იმის მეუღლის ან. რ. ასულისაგან: 1709 წელს დაბეჭდილი ხუცური სახარება, ხელნაწერი „როსტომიანი", ნაწილი „სიბრძნე სიცრუისა" და „თიმსარიანისა", ნაწილი „ვისრამიანისა" და მეკობრეთა შუამავალი რუსულიდამ თარგმნილი (ნაწყვეტი).

✦ ნაძალადევში 26 ოქტომბერს დააპატიმრეს ათამდე უპასპორტო კაცი.

✦ ამ დღეებში მიემგზავრება პ. ი. თუმანიშვილი პეტერბურგს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ კახეთის რკინის გზის ვიწრო ლიანდაგის მაგიერ, რომელიც ჯდება 9 მილიონი, შეცვლილ იქმნეს განიერ ლიანდაგათ, რომელიც არ უნდა დაჯდეს 12 მილიონზე მეტი. როგორც გამოანგარიშებულია 11 მილიონზე მეტი დაჯდებაო.

✦ გუშინ როსტოვიდამ ჩამოვიდა ფოსტის ტრაქტის მოიჯარადრე ედიგაროვი, რომელიც დაჭერილი იყო არეულობის დროს და ეხლა-გაუნთავისუფლებიათ.

✦ „კასპი"-ს სიტყვით, ბათუმში უკვე ჩამოუხვრჩიათ ექიმ ტრიანდაფილდისის მკვლელები რამიშვილი, დოლიძე, ცინცაძე და ჟღენტი.

✦ „კავკაზი"-ს სიტყვით, ხელმწიფე იმპერატორს სურამში ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის საჩუქრებლოთ ხუთასი თუმანი შეუწირავს.

✦ სააგენტოს სიტყვით, უკანასკნელ კვირის განმავლობაში ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 8, გარდაცვლილა 1 კაცი.

✦ სოფ. მარტყოფში ამ დღეებში, ტფილისის მაზრის უფროსის შანშიევის თანადასწრებით გლეხებმა გადასწყვიტეს, ადგილობრივ სა ღვდელოებას ყოველმა კომლმა დრამის მაგივრად 3 მანეთი და ათი შაური აძლიოს. ამ ფულს სოფლელები ხაზინაში შეიტანენ. გადაწყვეტილია ამის გარდა სამღდელოებას ღვთიმსახურებისთვის აღარაფერი მისცენ.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲑᲘᲠᲟᲐ.

გუშინ სალდათის ბაზარში სამუშაოს საშოვნელად

	გამოვიდნენ:		იშოვნეს:
მუშა	294	—	52
დურგალი	7	—	4
კალატოზი	19	—	10
მომკირწყლავი	26	—	9
მეჟესტე	10	—	8
მხატვარი	11	—	7
მებუხრე	7	—	2
იატაკის გამწმენდი	6	—	—

რედაქტორ-გამომცემელი
ᲓᲐᲠᲘᲐ ᲮᲠᲐᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაშია

პირველი კავკასიის სტენოგრაფიული კურსები

თ. აკოფიანისა.

ტფილისი, მიხეილის პროსპ., № 53.

შესდგება მე-3-მე ჯგუფი მსმენელთა ორთავე სქესისა.

სტენოგრაფია ხელოვნებაა ისეთივ ჩქარის წერისა, როგორც დაბარაკი. იგი საჭიროა ყოველ განათლებულ ადამიანისათვის. სწავლის დასაწყისი 23 ოქტომბერს ამა წლისა მიიღებიან საღამოს 4—7½ საათ. პროგრამა, პირობები და სტენოგრაფიის მნიშვნელობა ეძლევათ კურსების საგანში კურს დამთავრებულნი თითო წამს 120 სიტყვას სწერენ და ეძლევათ მათ სათანადო დამოწმება. (10—8)

მეორე სპეციალური კლასი ტერ. სტეფანოვის სამაჭრო სკოლისა

(ჩინის მიღების უფლებით)

იხსნება ამა წლის პირველ ნოემბერს. სწავლა ნაშუად. 4½ ს.-დან. ნახევარი წლის ფასი 60 მ. წინ და წინვე უნდა იქმნას შეტანილი. მოსამსახურეთათვის განაწილება შეიძლება.

ველიკო-კნიაზის ქ., № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. შესასვლელი მიხეილის პროსპ. № 16-18. (5—3)

ᲐᲚᲛᲔᲖᲐ.

ალმეზ ასულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირის სიმყრალეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამაგრებს კბილებს, ზრდის ნოხენებსა.

აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორმალური ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცთელი. ფლაკ. 40 კ.

თმის საშვალება პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვენასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღებება შემდეგ რამოდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

საუურადღებოთ ციებ-ცხელებით ავათმყოფებისათვის.

ჩვენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ცხელებასა ფასი 1 მ. 50 კ.

დარიგება ყველას თან ახლავსთ. ვგზავნით ფას დადებით. საჭიროა ბე ერთი მესამედი.

კანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვორონცოვის. ტ. ძეგლის მახლობლათ.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე.

Кантора и складъ „Т". Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе.

(50—5)

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲒᲣᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡᲐ" ოლგინის და სლეპცოვის კუთხე № 1.